№ 225. 28 ოკტომბერი, ოთხშაბათი. 1866—1881 28 ოკტომბერი, ოთხშაბათი. № 225

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხიდთან. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

## მაღნის აბანოები

ივანე იესეს-ძის მირზოევის შვილებისა

(ადრე სახელმწიფო—შმანები რომ იყო, აბანოების ქუჩაზე, თაგ. ბებუთოვების აბანოების ზემოდ). (4—1)

მმართველობა ცეცხლისაგან ზიანის მზღვეველის რუსეთის საზოგადოებისა, რომელიც 1827 წ. დაარსდა, აცხადებს, რომ მან დანიშნა ფერდინანდ დანიელის-ძე ფონ-გეიდერ-ბოროვსკი თავის აგენტად ქ.ქ. გორში, დუშეთში და თიანეთში და ამავე ქალაქების მაზრებში. ამის გამო გორის სააგენტოს მოხსენებულს წრეში ვისაც სურს საზღვევად მისცეს საკუთარი ქონება, უძრავი ანუ მოძრავი, ცეცხლისაგან ზიანის მზღვეველს საზოგადოებას—უნდა ინებოს ბატ. ფონ-გეიდერ-ბოროვსკისადმი მიმართვა, რომელიც სცხოვრებს ქ. გორში. (4—1)

თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 28 ოკტომბერს

ბენეფისი

### გ. კორინთლისა

მონაწილეობას მიიღებს

კნ. მ. რუსიევი—კორჩიბაშევისა.

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

კიდევ ერთი მსხვერპლი

კომ. გ. სუნდუკიანცისა.

II

დატრიალდა ჯარა

ვოდევილი რუსულით ნათარგმნი კ. ყიფიანისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

თფილისის სააზნაურო სკოლაში საჭირონი არიან ორი განათლებული აღმზრდელი ქალი მსურველს შეუძლიან თხოვნის შეტანა მოხსენებულ სკოლაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზედ. (მველი ინსტიტუტის ქუჩა № 19).

გამგე კომიტეტი ქუთაისის გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა თანახმად ამავე საზოგადოების წესდების მე-12 და 7 მუხლისა, აცნობებს ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ხსენებულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება დანიშნულია პირველს მომავალს ნოემბერს, 12 საათზე დღითი გიმნაზიის ზალაში. (3—1)

## ტელეგრამმები

(„კავკასიის-მხრის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურგი, 26 ღვინ. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ მთავრობა ნიშნავს ცალკე კამისიას, რომელსაც ებრაელების შესახებ ექნება საქმე. ამ კამისიის თავს-მჯდომარედ იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი.

გაზ. „ნოვოსტში“ იწერებიან, მთავრობას განზრახვა აქვსო გააუქმოს ის მონასტრები, რომლებსაც ცხოვრების ღონისძიება არა აქვსო; ერთი მესამედი რუსეთის მონასტრებისა ამ მდგომარეობაში არიან.

ბერლინი, 25 ღვინობ. თ. ბისმარკმა გამოაცხადა მტკიცე განზრახვა, რომ ის წინააღმდეგობას გაუწევს ებრაელების მდევნელ მოძრაობასა.

სტამბოლი, 25 ღვინ. არაბეთიდამ მოსული ამბები ძალიან აღელვებს ხონთქარს: ამბობენ, მთავარ შერიფმა ხონთქრისაგან თავის-თავის დამოუკიდებლობა გამოაცხადაო, მითხადოვაშა გაათავისუფლაო და დამოუკიდებელ არაბეთის ყალიფატის სამოქალაქო მმართველად დანიშნაო.

## ქართული ენა ალექსანდროვის საოსტატო ინსტიტუტში. *)

იყო დრო, როდესაც განსვენებული დირექტორი ალექსანდროვის საოსტატო ინსტიტუტისა ბ. ზახაროვი ულმობელად სდევნიდა თავის ქართველ მოწაფეებს ქართული წიგნების კითხვის გულისათვის.

ხშირად იგი სჩხრეკდა შაგირდების ყუთებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ეპოვა ვისიმე ხელში ქართული წიგნი ანუ გაზეთი, წაერთმია და თანაც დაემატებინა მრისხანე ბრძანება, რომლის ძალითაც აღეკრძალებოდათ მომავალში ქართული წიგნის კითხვა ანუ შეძენა.

ბ. ზახაროვი აჩირებული შეხედულობისა იყო ქართულ ლიტერატურაზედ და საზოგადოდ ქართულ ენაზედ: მისი აზრით, ქართული ენა და ლიტერატურა მოკლებული იყო ყოველს მიმზიდველს ძალას თვისი სიღარიბის და უმნიშვნელობის გამო. ისა სცდილობდა ყოველ შემთხვევაში დაემტკიცებინა თვის მოწაფეებისათვის, რომ ქართულ ლიტერატურაში არ შეიძლება იპოვებოდეს რომელიმე ნათელი ჰაზრი და რაიმე ჭეშმარიტება, რომელიც-კი ღირსი იყოს ყურადღებისა, ცნობისა და შესწავლისა; ქართულ ენას ჰმოსავდა ისეთ გარდაბ-

*) რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზის გამო ეს სტატია ისე ვერ იბეჭდება როგორც გვსურდა.

«დროების» ფელეტონი, 27 ოკტომ.

### ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები

ამ დღეებში გამოვიდა თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, რომელიც ქართველმა ხალხმა დიდის ალტაცებით მიიღო და ქართულმა ჟურნალ-გაზეთებმაც მიუძღვნეს შესაფერი რეცენზიები. ალ. ჭავჭავაძე ჩვენში ერთი პირველთაგანი დროის პოეტია, რომლის შემდეგაც გამოვიდნენ ნიკო ბარათაშვილი გრ. ორბელიანი, ვახ. ორბელიანი და სხვ. და სხვ.

ამ ახლად გამოცემულს ალ. ჭავჭავაძის ლექსებზე აწერია, რომ ეს პირველი ნაწილიაო და მეორე ნაწილში უფრო მისი დრამატიული ნაწერები დაიბეჭდებიანო, რომლების მომეტებული ნაწილი 1852 და 53 წ. იყო ჟურნალ „ცისკრებში“ დაბეჭდილი. იქავ გამომცემლებისაგან მოხსენებულია, რომ თუ ვისმეს ამის ლექსები მოეპოვება წარმოგვიდგინონ და მეორე ნაწილში ჩაურთავთო. მე ლექსები კი არა მაქვს, რომ გარდავსცე პატივცემულთ გამომცემლებსა, მაგრამ მაქვს რამდენიმე შენიშვნა, რომლის მოხსენებას საჭიროდ ვხადი.

მეთვრამეტე საუკუნის დამლევის ნაწერებში ვპოვე რამდენიმე ტომი ქართული სასიმღერო ლექსებისა და მრავალთ ჩინებულთ მელექსეთ ლექსები.

სხვათა შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებში დაბეჭდილია რვა ლექსი, რომლებზედაც ცნობები გვაქვს, რომ ეს ლექსები სხვებს ეკუთვნით. მაგალითად, პირველი ლექსი „სიყვარულო ძალსა შენსა“, რომელიც დაბეჭდილია 8 გვერდზე. ალ. იოსელიანი ჰმოწმობს „დუშეთის აღწერაში“, რომ ეს ლექსი დავით ჩოლაყაშვილს ეკუთვნისო. ესევე ლექსი დაბეჭდილია 1841 წ. გამოცემულს „ვეფხის ტყაოსანში“, მაგრამ იქ სხოლიოთ არის შეტანილი და აგრეთვე ეწერა არის, რომ ეს დავით ჩოლაყაშვილმა სთქვაო. ესევე ლექსი ზოგიერთს ძველს წიგნებში ჯიმშერ ჩოლაყაშვილის სახელით არის დაწერილი.

მეორე საეჭვო ლექსი არის „მაისის ვარდმან ფურჩვნილმან, ბეზიკმან მწვანით მოსილმან“ (11 გვერდი). ძველადვეა ნათქვამი, რომ სადაც კი ლექსში სიტყვა „ბესიკი“ ხმარებული იყოსო, ის ლექსი ანტონ კათოლიკოზისა და ერის მოქიშპის ბესარიონ გაბაშვილისა არისო, რომელსაც მეტს სახელად „ბეზიკს“ უწოდებდნენო. თ. რაფიელ ერისთავმა მითხრა, რომ სწორედ ეგრე გამიგია მეცაო. მეორეც, თვითონ ეს ლექსი მე მინახავს ბესარიონ გაბაშვილისაგან დაწერილს ლექსებში.

მესამე ლექსი არის „უამნი ჭრბიან, შენცა მელტვი, ჭოი სულგრძელო საყვარელო!“ ეს ლექსი ეკუთვნის თ. გიორგი თუმანიშვილს, რომელიც მეფის გიორგის დროს სცხოვრებდა; მრავალი ამის ლექსებია დარჩენილი; ამასვე ჰქონია ძველი ლექსების კრებული, რომელსაც ეწოდა „წალკოტი მრავალ ყვავილოვანი“. ეს ძვირფასი წიგნი ამ მოკლეს დროში „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ მოუპოვებია თავიანთ ბიბლიოთეკისათვის. ამ „წალკოტზე“ თ. გრ. ორბელიანსაც აქვს სხოლიო თავის ლექსთა-კრების მე-27 გვერდზედ. ეს ლექსი მე მინახავს სამს ძველს წიგნებში და ყველგან გიორგი თუმანიშვილის სახელითა.

აქვე დაბეჭდილია სიმღერა „მანსურის გაფი“, სადაც მოხსენებულია ბეზიკი და ეჭვი არ უნდა გვქონდეს (?), რომ ესეც ბეზიკის ლექსი იქნება.

მეხუთე ლექსია „ჭოი, გაბადრულო მთვარე, ბნელს ვზი მომეხმარე“ (113 გვერდზედ). ეს ლექსი ეკუთვნის მეფის ირაკლის ნაცვალს იოსებ მელიქიშვილსა, რომლის ერთი ისტორიული პოემა სახელ-წოდებით „მეფე ირაკლი“ და რამდენიმე ლექსები თ. პ. ბებუთოვმა გარდმომცა, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ეს ლექსები ახლა ჩემს ხელში აღარ არის. ამისივე ლექსები მოიძებნება ბევრს ქართულს ძველს წიგნებში და აგრეთვე თ. რაფ. ერისთვის რვეულში, დ. ამირიძისა, ჩემგან

წნეულ მჩვრებით, რომელთაც სრულიად არ ძალ-უძთ იოტის ოდენა სითბოების დაკავება.

ბ. ზახაროვის ამ გვარი შეხედულობისა და მოქმედობის წყალობით, შაგირდები იძულებული იყვნენ შეძენილი ქართული წიგნები მიებარებინათ აქა-იქ ნაცნობ—ნათესავებისათვის თფილისში და ეკითხათ მხოლოდ მაშინ, როდესაც კვირა-უქმე დღეებში ითხოვდნენ მათ პანსიონიდგან.

ამნაირა ერთობ შევიწროებული მდგომარეობა ქართველ შაგირდებისა არა-ერთხელ გამოაშკარავებულა ადგილობრივ გაზეთების ფურცლებზედ, მაგრამ ბ. ზახაროვი დაჟინებული იყო თავის რწმუნებაში.

ბოლოს ბ. ზახაროვი უეცრად გადახტა სხვა გზაზედ და მორთო სრულიად სხვა კილოზედ სიმღერა:

„— როგორ შეიძლება, რომ ახალგაზდა ქართველი არ სცდილობდეს თვის სამშობლო ენის შესწავლას! სამშობლო ენის ცოდნა ყოველის კაცისათვის უძვირფასესს განძს შეადგენსო და სხვ.“

რაღა ბევრი გავაგრძელო, იქამდის მივიდა საქმე, რომ ბ. ზახაროვმა გაველილ გაზაფხულზედ სთხოვა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რათა მან იშუამდგომლოს სახალხო განათლების სამინისტროსთან და უკანასკნელის ნება-რთვით ქართული ენა შეირიცხოს ინსტიტუტის პროგრამმაში სასწავლო საგნად, თანასწორ სხვა საგნებისა და დაინიშნოს შტატის მასწავლებელი. ბ. ზახაროვს განზრახვა ჰქონდა ამ გაველილ სექტემბერშივე განეხორციელებინა თვისი ჰაზრი შესახებ ქართული ენისა, მაგრამ თვითონ გარდაიცვალა, მიდის ოქტომბერიც და განკარგულების ხმა არსაით ისმის.

ალ. მარიანაშვილი.

## ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში ერთი ახლად-გამოცემული წიგნი, რომელიც ყველასთვის, ვინც კი კავკასიის წარსულ ცხოვრებასა და ისტორიას სწავლობს, დიდ განძად ჩაითვლება. ეს წიგნი არის ამ რამდენიმე წლის წინად მიცვალებულის ბარონ პ. კ. უსლარის თხზულება, სახელად „მველთაგან თქმული კავკასიაზედ“ (**Древнѣйшія сказанія о Кавказѣ**). აქ არის მოყვანილი და ისტორიულ კრიტიკით განხილული ყველაფერი, რაც კი კავკასიის მხარეზე და ხალხებზე უთქვამთ სხვა-და-სხვა ქვეყნის ძველ მწერლებსა და ისტორიკოსებს.

ეს წიგნი გამოცემულია კავკასიის სამხედრო-სახალხო ზამგეობისა და კავკასიის გეოგრაფიულ საზოგადოებისაგან ბ. ლ. პ. ზაგურსკის რედაქტორობით. აქვე ჩართულია ბ. ზაგურსკისგანვე დაწერილი ვრცელი ბიოგრაფია მიცვალებულის უსლარისა, რომელშიაც აწერილია, როგორც იმის ცხოვრება, აგრეთვე იმის ლიტერატურული მოღვაწეობა, განსაკუთრებით კავკასიის მთიულთა ენების შესწავლის შესახებ.

ხსენებულს ბიოგრაფიაში მოყვანილია რამდენიმე ალაგი უსლარის ერთი სტატიიდამ („აზრი მთიულებში სკოლების გამართვაზე“); სტატია შეეხება ბევრს ისეთ საგნებს, რომლებზედაც ჩვენ არა-ერთხელ გვქონია ლაპარაკი და სიამოვნებით ვაღვიარებთ, რომ ამ შემთხვევაში უსლარიც სწორედ იმ აზრისა და იმ კეთილ-გონიერ მიმართულებისა არის, რომელზედაც დამყარებული არიან ახლა ყველა ნამდვილი სწავლულები. მოგვყავს ამ ჩინებული სტატიიდამ რამდენიმე ადგილი:

„... ჩვენ უნდა (ე. ი. რუსები) იმას კი არ ვცდილობდეთ, რომ დავხშოთ, გავანადგუროთ რომელიმე ხალხი კავკასიაში,— რაც უნდა პატარა და უმნიშვნელო გვეჩვენებოდეს ის, არამედ პირ-იქით ყველას უნდა ვამხნევებდეთ, ვაღვიძებდეთ ძილისა და უდარდელობისაგან. ამ ჩვენს ქველსმოქმედებას ხსენებულ ხალხთა მოწინავე პირები კარგად გაიგებენ და დააფასებენ. ყოველ კაცს თვით ბუნებისაგანა აქვს გულში სამშობლოს სიყვარულის გრძნობა და ვინ იტყვის, რომ ბოროტება არ არის ამ კეთილშობილ გრძნობის მოსპობის სურვილი და მეცადინეობა.

„რა არის უპირველესი პირობა რომლისამე ერის განცალკევებულად არსებობისა? რაღა თქმა უნდა—ენა. რა ბოროტება და რა დანაშაული აქვს ხალხის დედა-ენას, რომ იმის მოსპობასა ანუ შეცვლას ვცდილობდეთ? ჩვენ გვხვდა წილად დავუმტკიცოდ აქ, კავკასიაში, მთელს ქვეყანას, თუ პატარა ხალხების შეწყნარებით და გაცხოველებით—რა სიკეთის და რა ყველასთვის სასარგებლო ნაყოფის მოტანა შეიძლება.

„ამ დედა-აზრით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენ უეჭველად კავკასიაში, თუ ამ ქვეყნის განათლება, წარმატება გვსურს“.

უსლარის აზრით, პირველ-დაწყებითი სწავლა მთიულების სკოლებში უეჭველად იმათ სამშობლო ენაზედ უნდა მიდიოდეს. შემდეგ შაგირდებს ცოტ-ცოტათი უნდა შეაჩვიონ რუსული წერა-კითხვა, მაგრამ სამშობლო ენას მაინც შემდეგშიაც ბეჯითად, გრამატიკულად უნდა ასწავლიდნენო. მხოლოდ სამშობლო ენის შემწეობით შეიძლებაო მთიულებისა და საზოგადოდ ყველა გაუნათლებელ ხალხების განათლებისა და წარმატების გზაზედ დაყენებაო.

თუ ოსებზე, ყაზი-ყუმუხებზე, ლეკებზე, ჩერქეზ-აბხაზებზე ითქმის ეს, რომელთაც, არა თუ ლიტერატურა, ანბანიც კი არა აქვსთ თავის საკუთარი, მაშ რაღა უნდა ითქვას ჩვენზე, ქართველებზე?

ბოლოს ვინატროთ, რომ უსლარის აზრები მაგრად გასჯდომოდეთ ძველ-რბილში ჩვენში სწავლა-განათლების წამყვანთ-და აგრეთვე ყველ იმათ, ვისზედ დამოკიდებულია ესა ზოგადოდ პატარა, დამორჩილებულ და ქვეშევრდომ ხალხთა ბედ-იღბალი...

* * *

დღეს, ოთხშაბათს, საზაფხულო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენი დრამატიული ტრუპპის აქტრისის ბარ. კორინთლისა. ითამაშებენ ბ-ნი გაბ. სუნდუკიანცის ერთს საუკეთესო კომედიას „კიდევ ერთი მსხვერპლი.“

თუ პიესის სიკარგეს იმასაც დაუმატებთ, რომ ჩვენი ტრუპპის ყველა საუკეთესო არტისტები მიიღებენ დღეს თამაშობაში მონაწილეობას, წარმოდგენამ კარგად უნდა ჩაიაროს.

ერთის მხრით ეს გარემოება და მეორის მხრით ის რომ დღეს კეთილსინიდისიანად მშრომელსა და სცენის ერთგულ აქტრისის ბენეფისია, იმედს გვაძლევს, რომ ქართველი საზოგადოება ბლომად მოგროვდება დღევანდელს წარმოდგენაზე...

* * *

გუშინ წინ პირველი თოვლი მოვიდა ჩვენს ქალაქში და ქალაქის გარშემო მთები ეხლაც გადათეთრებულია. მაგრამ დღეს კი მზე გამობრწყინდა და, როგორც ეტყობა, ისევ გამოდარებას აპირებს.

* * *

დღეს, 26 ღვინობისთვეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში გაიხსნა კრება თფილისის ეპარხიის სამღვდელოთა დეპუტატებისა.

* * *

სომხურ გაზეთს „მეღუ ჰაიასტანში“ შემდეგ ამბავს ვკითხულობთ:

„სანაჰნიდამ გვწერენ: წასრულს 1880 წ. მოლოზანს მანია ლორისმელიქოვისას ალბატისა და სანაჰნის სახელ განთქმულ მონასტრებში სალოცავად წასვლის დროს გაუვლია ვორნაკის სოფელზედ, რომელიც

შეკრებილს ძველს წიგნებში და სხვ...

მეექვსე ლექსი არის „მშვენიერთა ხელმწიფავ, მგლავს სიშორე შენითა“ (114 გვ.). ეს ლექსი ძველს წიგნებში მოხსენებულია და ეკუთვნის თ. თამაზ ქობულოვსა. თ. თამაზ ქობულოვისაგან ამ ლექსს ესრედ აქვს მიწერილი: „ეს ლექსს შაჰ-ნაზრ გუშად წოდებულია, რომელიც მეკუთვნის მე თამაზ ქობულოვსა. ამ ქობულოვის ლექსები ძალიან ბევრია დარჩენილი ხელთ-ნაწერობითა.

მეშვიდე ლექსი არის „საპრის ხმაზედ“ „გარდო, რად ხარ თავ-დახრილი? რად მარიდებ პირსა შენსა“ (115 გვ.). ამ ლექსსაც სხვას აკუთვნებენ.

ლექსი „უგვანთა ტრფობა, უგრძნოდ ტკბობა, ვისა გსმენია?“ ეკუთვნის თ. რახიელ ციციშვილისასა; ეს თ. რაფ. ერისთავმაც იცის.

ეს ცნობები მოვიყვანე აქა და იმედი მაქვს, რომ, თუ აქ ხსენებულს ლექსებზე ვინმემ რამე იცის, გამოაცხადებს.

ამ გვარს შეცდომილებას გამომცემელთ მხრით უფრო დავით რექტორს მიაწერთ, რომელზედაც გამომცემელნი ამბობენ, რომ იმის გადმოწერილი რვეულიდგან გადმოვბეჭდეთო.

დავით რექტორს სხვა-და-სხვა ლექსები აურევია თ. ჭავჭავაძის ლექსებში და არ მოუწერია ლექსების დასაწყისზე—თუ ვისი რა ლექსია. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოდ, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსები მომეტებული ნაწილი 1833 წ. შემდეგ არის დაწერილი და დავით რექტორისაგან დაწერილი ლექსები კი 1823 წელს ეკუთვნის. ახლა გადავალ ზოგიერთ შეცდომებზე, რომლებიც მომხდარა თ. ჭავჭავაძის ლექსებში.

5 გვერდზე დაბეჭდილს სიმღერაში „ღმერთო, ნეტავი ჩვენა“ მეთოთხმეტე ტაეპი აკლია, რომელიც ძველს წიგნებში მინახავს და მომყავს აქვე:

ბერო, გაუშვი ბერობა,
სხვა დაიჭირე ხელობა!
ჩემს ნათქვამს ყური მიუპყარ,
ქალებს დაუწყე მტერობა.

ლექსი „სიზმარი პუშკინით“ (108 გვერ.) პირველად დაიბეჭდა 1830 წელსა ქართულს სალიტერატურო გაზეთს „თფილისის უწყებაში“, რომლის გამოცემაც სოლ. დოდაშვილის რედაქტორობით 1830 წლიდგან 1832 წლამდინ გაგრძელდა. ეს ლექსი „პუშკინით ძილი“ 1830 წ. მეორე №-შია დაბეჭდილი შემდეგის ცვლილებითა.

უნდა იყოს 108 გვ. მეექვსე სტრიქ. განშორებიან, არის მსწრაფლ განმეშორნენ. იქვე, მეშვიდე სტრიქ. უნდა იყოს გული ჯერეთ, არის გონება ჯერეთ სურვილისგან. იქვე, მეათე სტრიქ. უნდა იყოს მოვე აქციე, არის მოვეაქციე. იქვე, მეთერთმეტე სტრიქ. უნდა იყოს მადირსე ტრფობა, არის მაღირსე თრობა.

119 გვერდზე დაბეჭდილია ლექსი „მიველ წალკოტს სანუგეშოდ, გლახ ჩემს გულს სევდა ასეა!“ ამ ლექსს ბოლოში უკანასკნელი სტრიქონი აკლია, რომელიც შემინიშნავს ზოგიერთს ძველს წიგნებში და მომყავს აქვე აი:

ჯარასია! ბედით სია! თურმე სოფელი ასეა!

ამ ლექსზედაც მრავალთ ეჭვი აქვსთ და იძახიან, რომ არც ეს არის ალექ. ჭავჭავაძესიო.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დასაფლავებულია კახეთს ხახულის მონასტერში. 1877 წ. „დროებაში“ დაიბეჭდა ხახულის მონასტრის შემოკლებული აღწერა და იმა აღწერაში, სხვათ შორის, შეტანილია თ. ალ. ჭავჭავაძის ეპიტაფია, საიდგანაც ბიოგრაფიის დამწერნი გაიგებენ ალ. ჭავჭავაძის დაბადებას და სიკვდილსა.

იმედია, რომ ჩვენი მწერლობის მოყვარე პირნი დროით ყურადღებას მიაქცევენ ამ ჩვენ ჩინებულ პოეტის მნიშვნელობასა და თუ აღმოუჩნდებათ რამე მალე აცნობებენ გამომცემელთ, სანამ მეორე ნაწილის დაბეჭდვას არ შესდგომიან.

ფ. მთაწმინდელი.

მდებარებს იმ ორ სოფლის შუა ალაგს, და უნახავს სოფლების შეწუხება უწყლობის გამო; გამოუკითხავს, თუ შესაძლოა ახლო მდებარე ხევებიდგან წყლის გამოყვანა სოფლამდინ, და როდესაც დარწმუნებულა, რომ შესაძლოა, დაჰპირებია სოფლელებს, რომ Tფილისში მისვლის შემდეგ გაუგზავნის იმათ წყლის გამოსაყვანად ყოველ ხარჯსა, ფული რომ მიიღონ, მაშინვე ხელი მიჰყონ სოფლიდგან 365 საჟენ სიშორეზედ მდებარე ხევიდგან წყლის გამოყვანას. დაპირება შეუსრულებია; მხოლოდ საქმის უცოდინარ და გამოუცდელ კაცების ხელით წყალი მაშინ რიგიანი ვერ გამოიყვანეს.

„მკვიდრად ვერ გამოიყვანეს სოფლელებმა წყაროს წყალი, და სოფლიდგან კარგა დაშორებით იყო.

„1881 წ. მაისის თვეში მოლაზონი წავიდა თავის დაწყებული საქმის ნაყოფის სანახავად; შეწუხდა, რომ ძლიერ ურიგოდ და პირ-პირ გამოეყვანათ მილები და ზოგიერთ ალაგას გაღებული და დაქცეულიც იყო; ამიტომ ხელ-ახლად ერთი კარგი მცოდნე ხელოსანი მოიწვია, დააქცევინა ძველი მილები და ხელ-მეორედ გააკეთებინა, წარსულ წელზედ უფრო უმეტესად მოაახლოვებინა სოფელს, რომ ზამთარში ფეხშიშველა და საბრალო დედა-კაცებს და ყმაწვილ-ქალებს გაუადვილდესთ წყლის ზიდვა და პირუტყვისთვის წყლის დალევინება, როგორათაც დაჩვეულან ძველ დროიდგან.

„მსრედ, არ მიხედა ხარჯის განმეორებასა, თვით თავისის დამსწრეობით და თვის თვალ-წინ დაასრულებინა ეს პატიოსანი შენობა წარწსულ მარიამობის თვის 23-ს. სოფლის ზემო ნაწილს ერთი მშვენიერი ჰაუზიც ააშენა, რომლის წყლის აავსებ ალაგას მარმარილოს ქვაში გაუკეთებინებია ფოტოგრაფიით გადაღებული თვისი სახე, ზედ-წარწერით.“

## წერილები რედაქტორთან

ცოტა რამ მიზეზისაგამო, რადგანაც აღარა მსურს, რომ ჩემი ნაწერები ან ძველი და ან ახალი იბეჭდებოდენ და ან სასცენოდ გამოჰქონდეთ, ამისათვის ვითხოვ, რომ, ჩემ და უნებურად, ნურც ერთსა და ნურც მეორეს ნურავინ ინებებს.

აკაკი

უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ჭეშმარიტების აღსადგენად და სიმართლის დასაცავად მისცეთ ადგილი ჩემ პასუხს იმ შენიშნვაზედ, რომელიც იყო დაბეჭდილი თქვენი პატივცემული გაზეთის ამა წლის № 218.

დარწმუნებული ვარ, ბ. რედაქტორო, რომ თქვენ კარგად მოგეხსენებათ შავი ქინა არ არსებობს, გარდა ქინის პრეპარატებისა, (მაგალითად: *Chin arsenicum; Chin Cifricum* და სხვ.), რომელნიც სრულებით არ გვანან საზოგადო სახმარ ქინას და არც კი შეიძლება იმ ქინის პრეპარტების მიცემა ურეცეფტოთ აფთიაქიდამ.

ახლა რაც შეეხება იმ შენიშნვას, რომელშიაც ბ. კორრესპონდენტი სწერს, რომ ვითომ ორ ფასად ვყიდდეთ წამლებსა ამაზედ ძრიელ შემცდარი ბრძანდება, ამისთვის რომ იმას არ ცოდნია ტაქცია, რომლითაც წამლებს ვყიდით და არც კი იცის სხვა ქალაქებში, როგორ იყიდება, რადგან ბევრი ხანია არ არის, რომ ტაქცია გამოიცვალა.

კორრესპონდენტის სიტყვით, ვითომც ჩვენ ქინას ბაზარში ვყიდულობდეთ; ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ბაზარში ქინას ჩვენ ვერ ვიყიდით. ბატ. კორრესპონდენტს ვთხოვთ გვიჩვენოს ის პირი, ვისთან და როდის ვიყიდეთ ბაზარში ქინა.

ოზურგეთის თავისუფალ აფთიაქის პატრონი
სოფ. ხუნდაძე.

ოზურგეთი, 23 ოქტომბერს.

## რუსეთი

ამ ჟამად რუსეთსა და ოსმალეთს შუა არის მოლაპარაკება ოსმალეთისაგან რუსეთის ხვედრ კონტრიბუციაზედ. ოსმალეთის წარმომადგენელნი თხოულობენ, რომ რუსეთმა ცოტა მაინც დაუკლოს, შეამციროს კონტრიბუცია, (გარდასახადი, რომელიც დაედვა ოსმალეთს წარსულ ომიანობის გამო), რადგან ოსმალებმაც დაუკლეს თავის მოვალეთ გარდასახადს. რუსეთის წარმომადგენელთ მოიყვანეს ამის საწინაალმდეგო მოსაზრებანი, მაგრამ ამის მიუხედავათ, შესაძლებელია, გარდასახადი მაინც შემცირდეს.

ამავე საგნის შესახებ იწერებიან ნემეცურ გაზეთში, რომ რუსეთი ჯერ-ჯერობით, სამხედრო კონტრიბუციის მაგივრად, ოსმალეთისაგან ითხოვს იმ ხარჯს, რომელიც მიეცა მას ოსმალეთის ტყვეების შენახვით და აგრეთვე ზიანს, რომელიც მიეცა რუსეთის ვაჭრებს წასულ ომიანობის დროს. რუსეთის აღრიცხვით ეს ზიანი შეადგენს 24 მილიონ მანეთს.

# ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო ბანკისაგან

ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-17 § ძალით, ინიშნებიან საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის სახვედროთა გადასახადთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისა მებრ, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გარდასახადს და თან ვანცხადებათა ხარჯებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ქუთაისის გუბერნიის:

#### ა. ქუთაისის უეზდისა.

ლორთქიფანიძისა, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა: სოფელსა Oფიშკვითს სახნავ-სათესი, 91 დესიატინა 1390 კვადრატ. საჟენი.

ბესარიონ ანდრიას-ძის ხელთუფლიშვილის მემკვიდრეთა: ბანოჯის აგარს სახნავ-სათესი და ტყე, 36 დესიატ. 360 კვადრ. საჟ.

დოდონაძისა, გრიგოლ ვასილის-ძის, დიაკონისა: ქვახჭირის აგარს, სოფელსა ჭოგნარს, ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატ.

ყანდინოვისა, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, წინაველს და გოდოგანს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 26 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.

სიმონ ივანეს-ძის მესხის მემკვიდრეთა: სოფ. რიონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 16 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფ. მაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 450 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, გიორგი Tეიმურაზის-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 114 დესიატ. 1931 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, სიმონ ბებეს-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს სახნავ-სათესი, 18 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

აგიაშვილთა: ქაიხოსრო, კონსტანტინე და სიმონ ბებეს-ძეთა, თავადთა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი და ტყე, 33 დესიატ 1800 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, ქაიხოსრო ბებეს-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 28 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.

კიკვაძისა, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: ეზო, და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.

მესხისა, ირაკლი გრიგოლის-ძის, ტიტულიარნი სოვეტნიკისა: სოფ. ნავენახევს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 1080 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, დავით ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფ. ჭყუშურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟენი.

გოგორიშვილისა, მარიამ მერაბის ასულის, აზნაურისა: სოფ. ინაშოურს და გზვანს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 9 დესიატ, 675 კვადრ. საჟ.

გაბაშვილისა, ნიკო კონსტანტინეს-ძის აზნაურისა: სოფ. ჯიმაშტაროს, გუმათის აგარს, ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 40 დესიტ. 580 კვადრ. საჟ.

მხეიძისა, სპირიდონ დავითის-ძის, აზნაურისა: სოფ. კორეეთს ეზო და სახნავ-სათესი, 5 დესიატ. 567 კვადრ. საჟ.

ლორთქიფანიძისა, მიხაილ გიორგის-ძის, თავადისა სოფ. ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.

ერისთავისა, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ამაღლებას, ინაშოურს და უხუთს სახვნავ-სათესი და ზვარები, 67 დესიატ. 750 კვადრ. საჟ.

იოსელიანისა, პეტრე ნიკოლოზის-ძის აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 14 დესიატ. 600 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა ალექსანდრე იაგორის-ძის, თავადისა: სოფელსა ქულაშს. ეზო, და სახნავ-სათესი,, $10^1/_8$ დესიატინი

მიქელაძეთა, მალერიან და გიორგი ბეგლარის-ძეთა: თავადთ სოფელსა ქულაშს სახნავ-სათესი და ეზო, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ.

ნიჟარაძისა, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატინი.

აგიაშვილისა, მგვიპტა გიორგის ასულის, თავადისა: სოფელსა ტყაჩირს სახნავ-სათესი, 30 დესიატ.

ქორქაშვილისა, ანნა რევაზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა მაღლაკს და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ. 89 კვადრ. საჟ.

ერისთავისა, ვარლამ მიხაილის-ძის, თავადისა: სოფ. მწერს სახნავ-სათესი და ტყე 162 კვადრ. საჟ.

აგიაშვილისა, მიხაილ ბეკოს-ძის, თავადისა: სოფ. ტყაჩირს ზვარი და სახნავ-სათესი, 15 დესიატ. 1251 კვადრ. საჟ.

ზაინდურთვისა, ივანე Tომას-ძის, აზნაურისა: სოფ. ტყაჩირს ეზო და სახნავ-სათესი, 114 დესიატ. 2217 კვადრ. საჟ.

მიქელაძისა, დავით პეტრეს-ძის, თავადისა: ეზო და სახნავ-სათესი, 3 დესიატ. 1800 კვადრ საჟ.

ნიჟარაძისა, ალექსანდრა მერაბის ასულის, თავადისა: სოფ. ოფიშკვითს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 2304 კვადრ. საჟ.

წულუკიძისა, ქრისტინა ქაიხოსროს ასულის, თავადისა: დაბა ხონს და სოფელთა ივანდიდს და ჭყვიშს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 26 დესიატინი 1113 კვადრ. საჟ.

წულუკიძეთა: დავით და ალექსი, თავადთა: სოფ. ნამაშევს ეზო ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 46 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.

მაჩაბელთა: ნესტორ და ანემპოდისტ იესეს-ძეთა, გიორგი მიხაილის-ძის, ნატალია ივანეს ასულის და მარიამ ხეფეს ასულის, თავადთა: სოფ ივანეთს სახნავ-სათესი და ტყე, 176 დესიატ. 1652 კვადრ. საჟ.

იმათივე: სოფ ივანეთს სახნავ-სათესი და ტყე, 406 დესიატინი 192 კვადრ. საჟ.

წულუკიძისა, ნიკო სიმონის-ძის, თავადისა: სოფელთა საწულუკიძეო და დედალოურს სახნავ-სათესი და ტყე, 98 დესიატ. 500 კვადრ. საჟ.

ჩხეიძისა, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: სოფელთა ბაშს და ფარცხანაყანევს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 79 დესიატ. 768 კვადრ. საჟ:

**აგიაშვილისა**, კონსტანტინე გეგეს-ძის, თავადისა: სოფ ტყაჩირს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1050 კვადრ. საჟ.

**ჩხეიძისა** მედუკსია ფილიპეს ასულისა, აზნაურისა: სოფ. გზვანს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატ. 1200 კვადრ. საჟ.

### ბ. შორაპნის უეზდისა.

**ბიწაძეებისა**: ქაქიჩა და ბესარიონ გერუკას-ძეთა; პავლე და გიორგი პიკოლას-ძეთა, გლეხთა: სოფ. ქვალიით ზვარები, სახნავ-სათესი, და ტყე, 16 დესიატინ. 414 კვადრ. საჟ.

**აბაშიძისა**, ტარასი ვახუშტის-ძის, თავადისა: სოფელთა ზედა-საქარას და დაბლა-საქარას ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 21 დესიატ. 2000 კვადრ. საჟ.

**ყიფიანისა**, აპოლლონ მერაბის-ძის, აზნაურისა: სოფ. ღვანკითს სახნავ-სათესი, $11\frac{1}{4}$ დესიატ.

**ცქიტიშვილისა**, სიმონ იესეს-ძის, აზნაურისა: სოფ მარტოთ-უბანს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე $8\frac{1}{2}$ დესიატ.

**ცქიტიშვილისა**, დიმიტრი სიმონის-ძის, აზნაურისა: სოფ. ზედა-საქარას ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, $12\frac{1}{8}$ დისიატ.

**ჩხეიძისა**, მელანია ქაიხოსროს ასულისა, აზნაურისა: სოფ. ლახუნდარას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.

**აბაშიძისა**, ტარიელ ვახუშტის-ძის, თავადისა: სოფ. ზედა-საქარას და დაბლა-საქარას ეზო, ზვარი, სახნავი და ტყე, 16 დესიატ. 800 კვადრ. საჟ.

**აბაშიძისა**, ქაიხოსრო გიორგის-ძის, თავადისა: სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 49 დეს. 280 კვადრ. საჟ.

**გოდაბრელიძეთა**: სპირიდონ და იოსებ ოტიას-ძეთა, აზნაურთა: სოფ. პასიეთს, საჩხერს და საირხეს სახნავ-სათესი და ტყე, 37 დესიატ. 1692 კვადრ. საჟ.

**მემანიშვილებისა**: ბესუკი და გიორგი ოქროპირის-ძეთა, ივანე და ლუკა პაციას-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუფოთს სახნავ-სათესი და ტყე, 10 დესიატ. 802 კვადრ. საჟ.

**ჭაჭიაშვილისა**, სიმონ გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.

**ბოჭორიშვილებისა**: ვასილ და გრიგოლ გიორგის-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუფოთს ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 8 დესიატ. 1450 კვადრ. საჟ.

**ბოჭორიშვილისა**, ივანე ივანეს-ძის, გლეხისა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი, 4 დესიატ. 1532 კვადრ. საჟ.

**ბოჭორიშვილებისა**: სოლომონ და იოსებ გლახუას-ძეთა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დესიატ. 1025 კვადრ. საჟ.

**ბოჭორიშვილისა**, პეტრე სიმონის-ძის, გლეხისა: სოფ. რუფოთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დესიატ. 1030 კვადრ. საჟ.

**მემანიშვილებისა**: ივანე და ლუკა პაციას-ძეთა, გლეხთა: სოფ. რუფოთს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 5 დესიატ. 1882 კვადრ. საჟ.

### გ. რაჭის უეზდისა:

**ბაქრაძისა**, ბიჭია გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. ქვაშხიეთს სახნავ-სათესი, 5 დესიატ. 1500 კვადრ. საჟ.

**ჯაფარიძისა**, ტარიელ ბერის-ძის, თავადისა: სოფ. ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატ. 1800 კვადრ. საჟ.

**დგალისა**, სპირიდონ გრიგოლის-ძის: სოფ. შავრს ეზო, სახნავ-სათესი და სათიბი, 7 დესიატ. 500 კვადრ. საჟ.

**ყიფიანიძეებისა**: გოგინა მიქელას-ძის, პეტრე, სპირდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხეილ შაქარას-ძის, გლეხთა: სოფ. ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი, 75 დესიატ. 1404 კვადრ. საჟ.

**მუსელიანისა**, ტარიელ ოქროპირის-ძის, გლეხისა: სოფ. ტოლას ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 15 დესიატ.

### დ. სენაკის მაზრისა.

**გეგელიასი**, დიმიტრი გორგის-ძის, აზნაურისა: სოფ. ჭაჭყურს სახნავ-სათესი, ზვარი, და ტყე, 58 დისიატ. 300 კვადრ. საჟ.

**მიქაძეთა**: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა, და ეკატირინა პეტრეს ასულის, თავადთა: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატ.

**თოფურიძისა**, ხახუ დავითის-ძის, აზნაურისა: სოფ. სეფიეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 38 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.

### ე. ზუგდიდის მაზრისა.

**დადიანისა**, კონსტანტინე ლევანის-ძის, თავადისა: სოფ. ხიბულას სახნავ-სათესი და ტყე, 6000 დესიატ.

### ვ. ლეჩხუმის მაზრისა.

**ახვლედიანისა**: ოტია, გიორგი და სიკო ანტონის-ძეთა, თავადთა: სოფ. აჭარასა, ალპანას, ზოგიშს და ცაგერს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და ტყე, 104 დესიატ. 456 კვადრ. საჟენი.

**ჩიქოვანისა**, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს, უწერას და მახაშს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, $48\frac{3}{4}$ დესიატ.

### ქ. ქუთაისს.

**წერეთელთა**: გიორგი და დიმიტრი ევთიმეს-ძეთა, ვასილ სიმონის-ძის და იოსებ ოქროპირის-ძის, აზნაურთა: ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა, 2 დესიატ. 1146 კვადრ. საჟ.

**ელისაბედ** სიმონის-ძის **ჩარექოვის** მემკვიდრეთა: შვიდი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, $103\frac{1}{2}$ კვ. საჟ.

**გვარდანაშვილისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, აზნაურისა: ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 160 კვადრ. საჟ.

**ღოღობერიძისა**, გიორგი ბესარიონის-ძის; ოთხი ქვით-კირის ერთ-სართულიანი მაღაზიები და მიწა, 276 კვადრ. საჟენი.

**კანდელაკისა**, ეკატირინა ანდრიას ასული, აზნაურისა; ორი სახლი და მიწა, 192 კვადრ. საჟ.

**ღორთქიფანიძისა**, ვლასა ბესარიონის-ძის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, 700 კვადრ. საჟ.

**ხელთუფლიშვილისა**, ბესარიონ ანდრიას-ძის, აზნაურისა, მემკვიდრეთა: ოთხი ერთ-სართულიანი დუქნები და მიწა, 442 კვადრ. საჟ.

**გურიელისა**, ელეონორა მიხაილის ასულის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 1230 კვადრ. საჟენი.

**სარჩიმელიასი**, ივანე ბეჟანის-ძის, აზნაურისა: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 81 კვადრ. საჟ.

**ალხაზოვისა**, ივანე პაციას-ძის, მოქალაქისა: ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლები და მიწა, 334 კვადრ. საჟენი.

**იოსელიანისა**, კონსტანტინე იესეს-ძის, აზნაურისა: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 334 კვადრ. საჟ.

**ღორთქიფანიძისა**, ნიკოლოზ გიორგის-ძის, თავადისა: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მ-წა, 667 კვადრ. საჟ.

**აბაშიძისა**, სიმონ ივანეს-ძის, თავადისა: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 750 კვადრ. საჟენი.

**მესხისა**, ირაკლი გრიგორის-ძის აზნაურისა: ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა, 230 კვადრ. საჟ.

**მესხისა**, მიზარბეგ ფირანის-ძის, აზნაურისა: ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 189 კვადრ. საჟ.

**ელისაბედ** სიმონის ასულის **ჩარექოვის** მემკვიდრეთა: ორი ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 3 დესიატ. და 2306 კვადრ. საჟ.

**ვორონოვისა**, მიხაილ ალექსის-ძის, კოლლეჟსკი სოვეტნიკისა: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 1182 კვადრ. საჟ,

**გაბაშვილისა**, ისიდორე გიორგის-ძის, აზნაურისა: ორი ქვით-კირის ერთ-სართულიანი სახლი, მიწა, 4 დესიატ. 102 კვადრ. საჟენი.

**დგებუაძისა**, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის აზნაურისა: ორი ქვით-კირის ერთ-სართულიანი სიხლი და მიწა, 198 კვადრ. საჟ.

**ყაუხჩევისა**, ნინა გიორგის ასული, მოქალაქისა: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 264 კვადრ. საჟ.

**კანდელაკისა**, გერასიმე ივანეს-ძის, აზნაურისა: ორი ქვით-კირის ერთ-სართულიანი სახლი და მიწა, 162 კვადრ. საჟ.

**კიკიანისა**, ტასია გლახუას ასულის, აზნაურისა: ორი ხის ერთ-სართულიანი სახლი და მიწა, 144 კვადრ. საჟ.

**კანდელაკისა**, დომენტი სიმონის-ძის, აზნანურისა: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 353 კვადრ. საჟ.

**ღორთქიფანიძისა**, გიორგი როსტომის-ძის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 369 კვადრ. საჟენი.

**მარჯანოვისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, აზნაურისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა, 1800 კვადრ. საჟენი.

**მაისურაძისა**, პელაგია იოსების ასული: ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა, 172 კვადრ. საჟენი.

**ელიგულაშვილისა**, მოშა აბრამის-ძისა, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი სახლი და მიწა, 89 კვადრ. საჟენი.

**გიორგაძისა**, მაკრინე დავითის ასულისა, ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 115 კვადრ. საჟენი.

**ჯიშკარიანისა**, ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 225 კვადრ. საჟ.

**კახიძეიშვილისა**, იაკობ ივანეს-ძის, მოქალაქისა: ორი ქვით-კირის ერთ-სართულიანი სახლები და მიწა, 226 კვადრ. საჟენი.

**ლენჩევსკისა**, ვლადიმირ ანტონის-ძისა: ორი ქვით-კირის ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 303 კვადრ. საჟ.

**ხელთუფლიშვილისა**, თეოდოსია ფირანის ასულის, აზნაურისა: თორმეტი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, 195 კვადრ. საჟენი.

**ჩარკვიანისა**, ეკატერინა ანდრიას ასულის: ორ-სართულიანი სახლი და მიწა, 423 კვადრ. საჟ.

**ჩხეიძისა**, ევგენია ნიკოლოზის ასულის, აზნაურისა: ერთ-სართულიანი სახლი და მიწა, 1052 კვადრ. საჟ.

**ხუბეროვისა**, ატო ფარსადანის-ძის, მოქალაქისა: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და მიწა, 410 კვადრ. საჟენი.

**ბურადოვისა**, ისაკ ივანეს-ძის, მოქალაქისა: ორ-სართულიანი ქვით-კირის სახლი და ოთხი ერთ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და მიწა, $108\frac{1}{4}$ კვადრ. საჟენი.

**გაბაშვილისა**, მაქსიმე გიორგის-ძის, აზნაურისა: ორი ნაკვეთი მიწა, 2 დესიატინი 708 კვადრ. საჟენ.

(1—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხ